GBG

შ.პ.ს.„ჯორჯიან ბილდინგ გროუფ“
0189 თბილისი,ელ.ანდრონიკაშვილის ქ. №29
ტელ: (032) 262 92 00
"Georgian Building Group"LTD
0189 Tbilisi, Str:El. Andronikashvili №29
Tel: (032) 262 92 00
E-Mail: cement1809@gmail.com
https://gbg.com.ge/

№ 1/67
ქ.თბილისი

04/05/2023წ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფს“ ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ელ. ანდრონიკაშვილის ქ. N29-ში გააჩნია ცემენტის საწარმო. აღნიშნულ საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 12 თებერვლის N2-128 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №18; 01.04.2015);

ამასთან, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 29 მარტის N2-294 ბრძანებით, ქ. თბილისში, შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე, გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ამ ეტაპზე, კომპანია კვლავ გეგმავს ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას. ვინაიდან, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“, წარმოგიდგენთ ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მომზადებულ სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია, Shp ფაილები.

პატივისცემით,
შპს „ჯორჯიან ბილდინგ გ[illegible]
დირექტორი /გიორგი ერისთავი/

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„25“ 05 2023
№ 4703